1968/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებანი

№ 4 (327)

1968 წლის აპრილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებანი

№ 4 (327) აპრილი 1968 წელი

10.785

## შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

40. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.
41. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მახარაძის რაიონის ასკანის სასოფლო საბჭოს და თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის სადაბო საბჭოს აღმასკომების მუშაობის შესახებ.
42. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კვების მდგომარეობის შესახებ.

განყოფილება მეორე

43. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.
44. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ.
45. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ ვ. ი. მურადელისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
46. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მახარაძის სახელმწიფო თეატრის მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
47. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ს. მაჭავარიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
48. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ე. დ. ახვლედიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

საქ. სსრ სახელ...

№ 4
ეროვნული

49. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ს. ყ[illegible]ლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

50. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მახარაძის სახელმწიფო თეატრის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

51. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჟურნალ „დილას“ რედაქციის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

52. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. გ. გილაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

53. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 40 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია 1968 წლის 20 მაისს, ქ. თბილისში.

სესიას განსახილველად წარედგინოს შემდეგი საკითხები:

1. რესპუბლიკის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მდგომარეობის და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების განხილვის და შესრულების მდგომარეობის შესახებ.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და ბუნების დაცვის მუდმივი კომისიების ანგარიში.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1968 წლის 30 აპრილი.

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 41 მახარაძის რაიონის ასკანის სასოფლო საბჭოს და თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის სადაბო საბჭოს აღმასკომების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა მახარაძის რაიონის ასკანის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. მ. შეწირულის და თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. დ. კაველიძის მოხსენებები შესაბამისი საბჭოების აღმასკომების საქმიანობის შესახებ და აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 8 მარტის დადგენილების და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1967 წლის 11 აპრილის დადგენილების საფუძველზე ასკანის სასოფლო და მანგლისის სადაბო საბჭოებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა.

ახორციელებენ რა თავიანთ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ფუნქციებს, ასკანის სასოფლო და მანგლისის სადაბო საბჭოები გაბედულად წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების საქმიანობას და ახორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის. მანგლისის საბჭოთა მეურნეობამ, ალგეთის, ასკანისა და მზიანის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა წარმოებისა და ჩაბარების გეგმები როგორც გასულ წელს, ისე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში.

აღნიშნული საბჭოების აღმასკომთა ინიციატივით, კოლმეურნეებისა და მუშა-მოსამსახურეთა შრომითი დახმარებით, ფართოვდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტთა ქსელი. ასკანის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე აშენდა კულტურის სახლი, უნივერმაღის შენობა, საექსპლუატაციოდ გადაეცა ავტომატური სატელეფონო სადგური, მიმდინარეობს მუშაობა ბავა-ბაღის, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის, წყალსადენის, შინმოუსვლელთა ობელისკის და სხვა ობიექტების ასაშენებლად. მანგლისში მწყობრში ჩადგა უნივერმაღი, ორი სასადილო, დაიდგა შინმოუსვლელთა ობელისკი, მალე დამთავრდება სოფლის მაღაზიის მშენებლობა და ა. შ.

ასკანის სასოფლო და მანგლისის სადაბო საბჭოების აღმასკომებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ დეპუტატებისა და საბჭოების აქტივის სწავლებას; ასკანის სასოფლო საბჭოსთან შექმნილია დეპუტატების და სასოფლო საბჭოს აქტივის სკოლა. საბჭოს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე განიხილავენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვა", „შრომის ნაყოფიერების ზრდა და შრომის დაცვა კოლმეურნეობებში", „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება", „საკურორტო სეზონისათვის მზადება" და სხვ. ამ საკითხების მომზადებაში ქმედით მონაწილეობას იღებენ მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი.

აღნიშნული საბჭოების მუდმივი კომისიები რეგულარულად ამზადებენ საკითხებს სესიებისა და აღმასკომის სხდომებისათვის და თვალყურს ადევნებენ საბჭოს და მისი აღმასკომის გადაწყვეტილებების შესრულებას. მაგალითად, მანგლისის სადაბო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ შეამოწმა და აღმასკომს მოახსენა, თუ როგორ სრულდება აღმასკომის 1967 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება თივის აღებისა და დამზადების შესახებ. გასულ წელს თვითეულმა მუდმივმა კომისიამ სესიისა და აღმასკომის სხდომებისათვის 5-6 საკითხი მოამზადა.

მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა დეპუტატებმა. ასკანის და მანგლისის საბჭოების ყველა დეპუტატმა ანგარიში ჩააბარა მოსახლეობას. ისინი ხშირად ხვდებიან თავიანთ ამომრჩევლებს, სწავლობენ მათ მოთხოვნილებებს და ეხმარებიან საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში. ასკანის სასოფლო საბჭოს დეპუტატის ტ. ქურიძის თაოსნობით კოლმეურნეობის № 6 ბრიგადაში გაიხსნა ბავშვთა ბაგა, საშუალო სკოლასთან — მუსიკის შემსწავლელთა წრე. მანგლისის სადაბო საბჭოს დეპუტატების გ. ევსეევის და მ. მიხაილოვის ინიციატივის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგად, ამომრჩეველთა შრომითი მონაწილეობით, აშენდა ხიდი, რომელმაც დააკავშირა თხინვალისა და დემეტრაშვილის ქუჩები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამომრჩეველთა განაწესების შესრულების საქმეს. 1968 წლის დასაწყისისათვის ასკანის სასოფლო საბჭოში აღრიცხული იყო 48 განაწესი, რომელთაგან შესრულდა 39, ხოლო მანგლისის სადაბო საბჭოში 31 განაწესიდან შესრულდა 28.

სათანადოდ არის დაყენებული მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრების აღრიცხვისა და შესწავლის, აგრეთვე მათზე პასუხის გაცემის საქმე.

კარგად მუშაობენ სოფლის კლუბები, ბიბლიოთეკები, გაუმჯობესდა მოსახლეობის კინომომსახურება, საგრძნობლად გამოცოცხლდა თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა.

ორგანიზებულად ტარდება სოფლის ყრილობები, დაბის მოქალაქეთა საერთო კრებები. მათი ყურადღების ცენტრშია კეთილმოწყობის, განათლების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სხვა აქტუალური საკითხები.

ამასთან ერთად, პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ასკანის სასოფლო, მანგლისის სადაბო საბჭოებს და მათ აღმასკომებს მუშაობაში აქვთ ნაკლოვანებანი.

ჯერ კიდევ არ უწევენ სათანადო კონტროლს ამ საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობას, ზემდგომი ორგანოების დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობას. მუდმივი კომისიები სუსტად აკონტროლებენ სესიისა და აღმასკომის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ასკანის სასოფლო საბჭოს საგზაო მშენებლობის მუდმივი კომისია. დეპუტატების მნიშვნელოვანი რაოდენობა არ მონაწილეობს სესიისათვის საკითხების მომზადებაში. აღმასკომები ინფორმაციას არ აწვდიან დეპუტატებს წინა სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

პრაქტიკაში არ არის საბჭოს სესიებზე, აღმასკომის სხდომებზე ან მოსახლეობის კრებებზე საბჭოსადმი დაქვემდებარებული კულტსაყოფაცხოვრებო ობიექტების ხელმძღვანელთა ანგარიშების განხილვა, არ ისმენენ პასუხისმგებელი მუშაკების მოხსენებებს საზოგადოებრივი წესრიგის და შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის, აგრეთვე კანონმდებლობის სხვა მოთხოვნათა შესრულების თაობაზე.

ნაკლოვანებებია მანგლისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტთა მუშაობაში. მათი უმრავლესობა მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში, სახელოსნოებს არ გააჩნიათ საჭირო რაოდენობის ხელსაწყო-იარაღები. არ სრულდება საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმები· ასკანის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები და სავაჭრო მაღაზიები ცუდად მარაგდებიან სათანადო მასალითა და საქონლით, რაც იწვევს გეგმების შეუსრულებლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ სასოფლო და სადაბო საბჭოებს უფრო მეტი და კონკრეტული დახმარება უნდა გაუწიონ შესაბამისმა რაიონულმა აღმასკომებმა ცალკეული სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ასკანის სასოფლო და მანგლისის სადაბო საბჭოების აღმასკომებს თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში განუხრელად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 8 აპრილის ბრძანებულებით „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“, რისთვისაც:

ა) „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის მარტის დადგენილების შესაბამისად გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და დახმარება საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული ორგანიზაციებისადმი. საბჭოს მუდმივი კომისიების, დეპუტატების და აქტივის მონაწილეობით მიაღწიონ იმას, რომ ეს ორგანიზაციები წარმატებით ასრულებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოებისა და დამზადების, საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმებს, აგრეთვე საყოველთაო სწავლების დავალებებს და საბიუჯეტო ვალდებულებებს;

ბ) სესიების მომზადებაში ფართოდ ჩააბან მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი, საბჭოს სესიებს განსახილველად წარუდგინონ სოფლის ცხოვრების ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა მოსახლეობის სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურება, გზების კეთილმოწყობა, საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის შესრულება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მდგომარეობა და სხვ.;

გ) პრაქტიკაში შემოიღონ საბჭოს სესიებზე, აღმასკომის სხდომებზე, მოსახლეობის კრებებზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებები ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა განხორციელების, საწარმოო გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების და მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებზე;

დ) სისტემატური კონტროლი დააწესონ კოლმეურნეობებში დემოკრატიული პრინციპების დაცვაზე, მიწების ფონდის სწორად გამოყენებაზე, სერიოზული ყურადღება მიაქციონ მოქალაქეთა უფლებების დაცვას, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას;

ე) უფრო მეტად დაეხმარონ დეპუტატებს მათი მოვალეობის შესრულებაში, მიაღწიონ იმას, რომ ყველა დეპუტატი აქტიურად მონაწილეობდეს საბჭოების სესიების, აღმასრულებელი კომიტეტების და მუდმივი კომისიების საქმიანობაში.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების მახარაძის და თეთრიწყაროს რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს საქმიანი და კონკრეტული დახმარება აღმოუჩინონ სასოფლო და სადაბო საბჭოებს მშრომელთა დეპუტატების

სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და დახმარება სასოფლო და სადაბო საბჭოებისადმი. მიაღწიონ იმას, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოები იყვნენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამედიცინო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის კურსში; ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში მათი როლის შემდგომ ამაღლებას და საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ძირითადი უფლებებისა და მოვალეობის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 8 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 24 აპრილი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 42 რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კვების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მ. დანელიას მოხსენება „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კვების მდგომარეობის შესახებ" და აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ განათლებისა და ვაჭრობის სამინისტროებმა, ცეკავშირის გამგეობამ, საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა, აგრეთვე სამედიცინო ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში სათანადო ყურადღება ეთმობა სასკოლო ბუფეტების მუშაობას, მათთვის შესაფერისი ოთახების გამოყოფისა და სავალდებულო ასორტიმენტის პროდუქტებით მომარაგების საქმეს. იზრდება სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების ქსელი, ეწყობა საუზმისათვის ულუფების წინასწარი მომზადება. ბევრი ბუფეტი და სასადილო უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით, ჰიგიენური მაგიდებით, დახლმაცივრებით, მაცივარკარადებით, გაზქურებით და საჭირო ჭურჭლეულით (ქალაქები: თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ტყვარჩელი, რუსთავი, ზუგდიდი, გორი, ფოთი, ჭიათურა; სიღნაღის, მახარაძის, გარდაბნის, წითელწყაროს, ხაშურის, თელავის, ამბროლაურის, ცხაკაიას, ქობულეთისა და სხვა რაიონები).

№ 4 ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული საბჭოები, განათლებისა და ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოები, სამომხმარებლო კოოპერაციის რაიკავშირების გამგეობები პერიოდულად სწავლობენ სკოლებში მოსწავლეთა კვების მდგომარეობას და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მისი შემდგომი გაუმჯობესებისათვის (ქალაქები: თბილისი, ბათუმი, ჭიათურა; დმანისის, კასპის, ქარელის, გულრიფშის, საგარეჯოს, ონის, ლენტეხის, წითელწყაროს, ლენინგორის, ზუგდიდის, ორჯონიკიძის, აბაშისა და სხვა რაიონები).

ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივმა ორგანოებმა გააძლიერეს სასკოლო ბუფეტებში სანჰიგიენური რეჟიმის დაცვის კონტროლი.

ამავე დროს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია.

შემოწმებით გამოირკვა, რომ განათლების ორგანოები და ვაჭრობის ორგანიზაციები, ზოგიერთი საქალაქო, რაიონული და ადგილობრივი საბჭოები ჯერ კიდევ საკმარის ყურადღებას არ უთმობენ მოსწავლეთა კვების სწორ ორგანიზაციას, სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების გახსნას, არსებულის წესრიგში მოყვანასა და მათი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების სკოლებში საერთოდ არ არის ბუფეტები. მაგალითად, ჯავის, გორის, ბოგდანოვკის და ყაზბეგის რაიონებში; დმანისის, მესტიისა და მაიაკოვსკის რაიონებში ბუფეტი გახსნილია თითო სკოლაში. ზოგი სასკოლო ბუფეტი და სასადილო მოწყობილია სრულიად შეუფერებელ ოთახებში და მეტად მცირე ფართობი უკავია.

სასკოლო ბუფეტები ცუდად არის უზრუნველყოფილი ინვენტარით. რესპუბლიკაში არსებული 954 სასკოლო ბუფეტიდან უმრავლესობას არა აქვს ჰიგიენური მაგიდები, დახლმაცივრები, ელექტრომადუღრები, გაზქურები, ელექტროქურები და სათანადო ჭურჭლეული.

ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები, კოოპერაციული ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ნაკლებად ეხმარებიან სკოლებს ბუფეტებისა და სასადილოების კეთილმოწყობაში. როგორც სკოლის ხელმძღვანელობა, ისე სავაჭრო ორგანიზაციები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა შორის აბონემენტების გავრცელებას. ბუფეტებში სისტემატურად არ მორიგეობენ პედაგოგები, მშობელთა კომიტეტების წარმომადგენლები და უფროსკლასელები.

ბევრ რაიონში სასკოლო ბუფეტები არ იღებენ სათანადო ასორტიმენტის პროდუქტებს, რძესა და რძის ნაწარმს, იაფფასიან ძეხვეულს, ხილფაფას, ხილის წვენებს, კისელს, ხილს და სხვ. ზოგჯერ ბუფეტებში ჰყიდიან ამ ობიექტებისათვის შეუფერებელ ნაწარმს. მოუწესრიგებელია საცალო ფასები.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა დღემდე ვერ მოაწესრიგეს სასკოლო ბუფეტებისათვის დოზირებული სოსისის, მაწონის — 250 გრამიან ქილებში, 100 გრამიანი ყველაკებისა და „C“ ვიტამინით გამდიდრებული ახალი რძის გამოშვება. „საქკონსერვტრესტმა“ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო ჰომოგენიზებული კონსერვების წარმოება. მეტად და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალი ხარისხისაა კისელის ფხვნილი, რომელსაც ამზადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“-ადმი დაქვემდებარებული კვების მრეწველობის კომბინატი.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ზოგიერთი ავტოსატრანსპორტო კანტორა დიდი დაგვიანებით გზავნის მანქანებს სკოლებში კვების პროდუქტების გადასაზიდად. სასკოლო ბუფეტებს, რომლებსაც ამარაგებს სამომხმარებლო კოოპერაცია, ცუდად ემსახურებიან ტრანსპორტით.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმითაც, რომ რაიონული და საქალაქო საბჭოები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სასკოლო ბუფეტების გახსნა-გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების საქმეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის მოხსენებითი ბარათი განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიღებული ზომების შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმდინარე წლის ბოლოსათვის.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1968 წლის 24 აპრილი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 43 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“:**

1. ნოდარ იოსების ძე **ახალაძე** — ქ. ბათუმის № 10 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ათეულის მეთაური.

2. ზაურ ნიკოლოზის ძე **კოხრეიძე** — აჭარის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

3. ივანე ომერის ძე **ჭინკაძე** — ქ. ბათუმის № 10 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1968 წლის 24 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 44 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“:

1. ოთარ ივანეს ძე **ზაქაიძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი.
2. იუსტინე მერაბის ძე **ცინცაძე** — საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიონული კომიტეტის მძღოლი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1968 წლის 24 აპრილი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 45 კომპოზიტორ ვ. ი. მურადელისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, კომპოზიტორ ვანო ილიას ძე **მურადელს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1968 წლის 11 აპრილი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 46 მახარაძის სახელმწიფო თეატრის მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, მახარაძის სახელმწიფო თეატრის დაარსების ასი წლისთავთან დაკავშირებით, მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ სახალხო არტისტის:**

ლამარა ჩიტოს ასულ **თურმანიძეს** — მსახიობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის:

1. მარიამ კონსტანტინეს ასულ დონაძეს — მსახიობს.
2. გრიგოლ სილოვანის ძე კალანდაძეს — მსახიობს.
3. სერგო ალექსანდრეს ძე ლომიძეს — მსახიობს.
4. გაბრიელ პლატონის ძე მდინარაძეს — მსახიობს.
5. ოლია გიორგის ასულ მოლარიშვილს — მსახიობს.
6. ალექსანდრა მალაქიას ასულ ცქვიტიშვილს — მსახიობს.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის:

1. ელგუჯა კაპიტონის ძე ახალაძეს — სადადგმო ნაწილის გამგეს.
2. გერასიმე პორფილეს ძე ქორიძეს — სცენის მემანქანეს.
3. ნიკოლოზ ვასილის ძე ღლონტს — მთავარ ადმინისტრატორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1968 წლის 26 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 47 ამხ. მ. ს. მაჭავარიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამოქალაქო ავიაციის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადებისOთხმოც წელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი, ყოფილი მფრინავი ამხ. მიხეილ სერგის ძე მაჭავარიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1968 წლის 15 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 48 ე. დ. ახვლედიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ელენე დიმიტრის ასული ახვლედიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1968 წლის 19 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 49 ამხ. ნ. ს. ყოჩიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ სტეფანეს ძე **ყოჩიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1968 წლის 26 აპრილი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 50 მახარაძის სახელმწიფო თეატრის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მახარაძის სახელმწიფო თეატრში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, თეატრის დაარსების ასი წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. გივი არშაკის ძე **ახმეტელი** — მსახიობი.
2. გიორგი თევდორეს ძე **ბერიძე** — უფროსი ბუღალტერი.
3. შოთა ვიქტორის ძე **დარჩია** — მხატვარი.
4. ლუბა ბესარიონის ასული **კალანდაძე** — მსახიობი.
5. ვლადიმერ გიორგის ძე **მალაზონია** — პენსიონერი.
6. ბეჟან ოსების ძე **ნაკაიძე** — თეატრის დირექტორი.
7. რეზო პავლეს ძე **ხარიშვილი** — დასის გამგე.
8. ამირან შოთას ძე **ქადეიშვილი** — მსახიობი.
9. დავით ვარდენის ძე **ჩხაიძე** — მეაფიშე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1968 წლის 26 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 51 ჟურნალ „დილას“ რედაქციის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის, დაარსების ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით, ჟურნალ „დილას“ რედაქციის მუშაკები დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. კუკური პავლეს ძე **გოგიაშვილი** — უფროსი ლიტერატურული მუშაკი.
2. ლეილა უშანგის ასული **ერაძე** — ლიტერატურული მუშაკი.
3. შალვა სამუელის ძე **ცხადაძე** — სამხატვრო რედაქტორი.
4. ქეთევან კონსტანტინეს ასული **ჭყოიძე** — მდივანი-მემანქანე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1968 წლის 30 აპრილი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 52 ამხ. პ. გ. გილაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. პავლე გიორგის ძე **გილაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1968 წლის 30 აპრილი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 53 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საფელდეგერო კავშირში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საფელდეგერო კავშირის დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ნიკოლოზ ლეონტის ძე **ალაშნიკოვი** — ფელდეგერი.
2. თენგიზ გიორგის ძე **ბროლაშვილი** — ფელდეგერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ალექსანდრე ვარდენის ძე **ბურჭანაძე** — საფელდეგერო სამსახურის ქალ. სოხუმის განყოფილების უფროსი.

4. ივანე გაბრიელის ძე **გავრიში** — ფელდეგერი.

5. არჩილ ნიკოლოზის ძე **ზირაქაშვილი** — საფელდეგერო კავშირის უფროსი ოფიცერი.

6. ვიქტორ ვასილის ძე **კულუმბეგოვი** — საფელდეგერო კავშირის უფროსი ოფიცერი.

7. ივანე მოსეს ძე **ხეთაგური** — ფელდეგერი.

8. ალექსანდრე დავითის ძე **ხუნწარია** — საფელდეგერო კავშირის უფროსი ოფიცერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 30 აპრილი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიის სხდომაზე მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ მ. საბაშვილის მოხსენება აბაშის, ლაგოდეხის, თელავის, ყვარლის, მარნეულის, ცხაკაიას, გალის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში ერთწლოვან კულტურათა წარმოების მდგომარეობის შესახებ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: მუდმივი კომისიის წევრმა ი. კვილიძემ, „საქცხიმეთერზეთის" ტრესტის მმართველმა ნ. იაკობაშვილმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთწლოვანი კულტურების სამმართველოს უფროსმა მ. ციხისთავმა, ცხაკაიას, აბაშის, ლაგოდეხის, გალის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა — რ. ხოფერიამ, ა. ნადარეიშვილმა, ა. რეხვიაშვილმა, ვ. უზუგბაიამ და სხვებმა.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივმა კომისიამ, ამასწინათ გამართულ სხდომაზე, განიხილა ორი საკითხი: მოსწავლეთა კვების მდგომარეობა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სამკურნალო და მინერალური წყლებით ვაჭრობის მდგომარეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკაში, რომელთა შესახებ მოხსენებები გააკეთეს კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა პ. ნოზაძემ და ა. გობრონიძემ.

განხილული საკითხების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ი. ბეროზაშვილმა, კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილემ პ. ბაქრაძემ, ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ვ. ქადეიშვილმა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ლ. ქავთარაძემ, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ გ. ჟამიერაშვილმა, ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის საზოგადოებრივი კვების სამმართველოთა უფროსებმა ი. წინამძღვრიშვილმა, გ. კილაძემ და სხვებმა.

სხდომის მუშაობა შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა მ. დანელიამ.

განხილულ საკითხებზე კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილებანი.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივმა კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის ამხ. ე. შევარდნაძის მოხსენება ბრაკონიერობასთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკაში.

საკითხის განხილვისას კამათში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები — ი. აბრამიშვილი, ნ. ყორიაშვილი, ა. ბუდაღაშვილი, აგრეთვე ჟურნალ „საქართველოს ბუნების" რედაქტორი ე. ბართაია, საქართველოს მონადირეთა კავშირის თავმჯდომარე ს. როსტიაშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ბ. ფილავანდიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ცქიტიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე კ. მამისაშვილი, სიღნაღის, დუშეთის, ლენინგორის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები — მ. კრაწაშვილი, შ. მწითური, თ. დურგლიშვილი და ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. გობრონიძე.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ ი. ნონეშვილმა.

განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივმა კომისიამ განიხილა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის აეროპორტებში მგზავრთა მომსახურების საკითხი.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრმა დეპუტატმა ნ. ბერიძემ, თბილისის აეროპორტის უფროსმა ა. გოგლიძემ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამმართველოს უფროსმა ი. მგალობლიშვილმა, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ი. სამადალაშვილმა, სოხუმის აეროპორტის უფროსმა ვ. ქვარცხავამ, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მუშაკმა ნ. გახოკიძემ და სხვებმა.

განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება. სხდომის მუშაობა შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. აბუთიძემ.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 24 აპრილის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლებით“ დააჯილდოვა 278 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 23 |
| ქ. რუსთავიდან | | 7 |
| ქ. ქუთაისიდან | | 7 |
| ახალქალაქის | რაიონიდან | 31 |
| ბოგდანოვკის | " | 26 |
| ბორჯომის | " | 6 |
| გურჯაანის | " | 2 |
| თეთრიწყაროს | " | 17 |
| თელავის | " | 6 |
| ზუგდიდის | " | 7 |
| ლაგოდეხის | " | 8 |
| ლენტეხის | " | 52 |
| მაიაკოვსკის | " | 7 |
| მესტიის | " | 12 |
| მცხეთის | " | 8 |
| საჩხერის | " | 8 |
| ქარელის | " | 16 |
| წითელწყაროს | " | 7 |
| წალკის | " | 28 |